♀. На спине семь поперечных рядов щетинок, расположенных на бугорках. Перитремы извилистые, длинные, за края тела не выступают. Годень щупика с коготком. Амбулакральные коготки редуцированы, в виде удлиненных брусков, несущих на вершине по два железистых волоска. Эмподальный коготок ординарный, усажён по вентральной стороне волосками.

Диагноз *Neobryobia spectabilis*, sp. n.

♀. Окраска тела коричнево-зеленая, конечности окрашены заметно светлее. Идиозома сзади широко-округлая, по бокам проподозомы небольшие вогнутости; в общем форма тела приближается к грушевидной; ширина идиозомы составляет около 70% ее длины. Кожные складки воротничка тесные, правильные, выгнуты вперед; в срединной области проподозомы структура кожи точечная; по бокам проподозомы и на гистерозоме складки грубые, редкие и на границе этих двух отделов залегают поперечно. Глаза парные, одинаковой степени выпуклости, передние по



Neobryobia spectabilis, sp. n.: 1—общий вид ♀; 2—конец лапки I у ♀; 3—основания хелицер и перитремы ♀; 4—конец тела ♂ и penis (сверху и несколько сбоку); 5—конец шупика ♂ (снизу и сбоку); 6—щетинка с бугорком со спины ♀.

диаметру в 2× меньше задних; передние расположены немного кнаружи от линии, проводимой между setae scap. int. и ext. у границы ее передней трети. Перитремы у обоих концов постепенно расширяющиеся, у дистального конца раздвоены; образуют несколько вертикальных и горизонтальных изгибов. Ложный щиток не выражен. Основания хелицер удлиненные, отношение их ширины к длине 50%, а их длины к длине идиозомы 16%; спереди они округлые, без выемки; глубина выемки между задними лопастями доходит до 1/3; основные членики хелицер узко-конические с вырезом по бокам у основания, без концевой лопасти. Щетинки идиозомы конические, слегка изогнуты, у основания не сужены, сильно опушены. Бугорки, расположенные по краям тела, меньше таковых, занимающих среднее положение. Наибольшая длина у setae dors. int.; она достигает 30% длины идиозомы; s. vert. в 3× короче. Лапки щупиков удлиненные, в 2× длиннее своей ширины у основания, лишены концевой булавки. Ноги I и IV очень длинные, передние в 2× длиннее идиозомы; длина ног III равна длине идиозомы, ноги II немного короче. Щетинки на ногах относительно короткие, расположенные на базальной половине ног, имеют ощущение. Голень и бедро ног I заметно сужены в своей срединной части, по длине равны друг другу. Длина отдельных члеников по отношению к общей длине ноги в процентах:

Ноги	Вертлуг	Бедро	Колено	Голень	Лапка
I	4,0	39,5	4,9	39,5	12,1
II	7,7	34,6	7,7	32,7	17,3
III	6,3	32,0	8,0	36,4	17,3
IV	4,0	36,5	7,1	40,4	12,0

Лапка I в 3—3 1/2× короче голени и бедра; длина ее в 7 1/2× больше ширины. В концевой части лапки I доразально имеется слабо выраженный бугорок, несущий расположенные симметрично две пары сенсилл, длина которых между собой почти равна и заметно больше, чем у остальных щетинок ноги; бугорок на лапках II только с одной парой таких сенсилл; на лапках III и IV парных сенсилл нет. Амбулакральные коготки всех ног в виде удлиненных брусочков, которые только в 2× короче расположенных на них железистых волосков и в 3× короче эмподиального коготка. Последний на протяжении 3/4 своей длины почти прямой, далее к концу округло изогнут.

Промеры ♀ в мк: длина идиозомы 750, ширина 535; длина оснований хелицер 120, ширина 60; наибольшая длина щетинок идиозомы 285; длина ног I (без тазиков) 1475, II—620, III—750 и IV—1175; длина бедер I 580, II—215, III—240 и IV—430; длина голеней I 580, II—200, III—275 и IV—475; длина лапок I 180, II—105, III—130 и IV—143.

♂. Бугорки на идиозоме, несущие щетинки, выражены значительно слабее, чем у ♀; некоторые щетинки уплощены; ощущение их сильнее,

чем у ♀. Лапка щупиков удлиненная, у основания шире, в $2\frac{1}{2}$ × длиннее своей ширины; концевой булавки нет, веретено хорошо выражено. На бедре щупика выроста с шипом нет. Амбулакры как у ♀. Пенис в концевой своей части, повидимому, имеет круглое сечение, слабо изогнут, заострен.

Промеры ♂ в μ : длина идиозомы 415; длина оснований хелипер 87; наибольшая длина щетинок идиозомы 60; длина ног I (без тазиков) 1365, II—605, III—680 и IV—950; длина бедер I 535, II—215, III—215 и IV—345; длина голеней I 447, II—200, III—250 и IV—380; длина лапок I 200, II—105, III—119 и IV—130.

Академия Наук Грузинской ССР
 Зоологический Институт
 Тбилиси

(Поступило в редакцию 18.8.1941)

ზოოლოგია

3. 6261

TETRANYCHIDAE-ს ოჯახის ტიპის ახალი გვარი და სახეობა

რეზუმე

წინამდებარე წერილში აღწერილია *Oxalis* sp.-ზე სოხუმში ნაპოვნი ტიპი, რომელიც ახალი გვარისა და სახეობის გამოდგა.

ახალი გვარის ტიპს ჩვენ ვუწოდებთ *Neobryobia*, g. n. ფეხის თათების დანამატებით, ჯავრის ფორმითა და სხეულზე განწყობით ისევე, როგორც სხვა ნიშანთვისებათა მიხედვით, მათ გარდამავალი ადგილი უჭირავთ ერთი მხრით *Bryobia* და *Neophyllobius* გვართა და მეორე მხრით ტიპების *Tetranychus*, s. l. ჯგუფებს შორის.

Neobryobia, g. n. გვარს შემდეგი ნიშანთვისებები ახასიათებს: ზურგის ბორცვაკებზე ჯავრის 7 გარდი-გარდმოდ განწყობილი რიგი; პერიტრემები ხვეულია და გრძელი, სხეულის კიდეს არ ასცილდება; წვივის საცეცი, ბრჭყალით; ამბულაკრული ბრჭყალები რედუცირებულია გაგრძელებულ ძელაკის მსგავსად, რომელსაც ორ-ორი წვერში გაგრძელებული ჯავარი აქვს; ემპოდიალური ბრჭყალი მარტივია და ვენტრალურ მხარეზე ბუსუსითაა შემოსილი.

გვარის ტიპად აღებულია წინამდებარე წერილში განხილული ახალი სახეობა *Neobryobia spectabilis*, sp. n.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
 ზოოლოგიის ინსტიტუტი
 თბილისი

NEW GENUS AND SPECIES OF SPIDER MITES FROM
GEORGIA (TETRANYCHIDAE, ACARI)

By H. RECK

Summary

A description is given of new genus and species of spider mite.

Neobryobia, g. n.

Seven transverse rows of bristles, arising from tubercles (fig. 1 and 6). Tibia of the palpus with a claw (fig. 5). Ambulacral claws reduced, each with two tenend hairs on the tip; empodial claws simple, with tenend hairs on the ventral surface (fig. 2). Collar trachea sinuous, long, on both ends widened (fig. 3).

Neobryobia spectabilis, sp. n.

♀. Body pear-shaped, brownish-green. Collar trachea on the tip bifurcate. Length of mandibular plate twice longer than its width. Bristles slightly curved, pilose, with no narrowing at the basis; setae dorsales internae $3\times$ as long as setae verticales. Thumb of palpus elongated. Legs very long; legs I $2\times$ as long as idiosoma. Femur and tibia of legs I $3-3\frac{1}{2}\times$ as long as tarsus. Tarsus I at tip bears two pair of tactil seta of about equal length. The reduced ambulacral claws in form of elongated joints $\frac{1}{2}\times$ as long as their tenend hairs and $\frac{1}{3}\times$ as long as the empodial claw.

Measurements ($\mu\mu$): length of idiosoma 750, width 535; length of mandibular plate 120, width 60; length of setae dors. int. 285; length (excepting coxa) of legs I 1475, II—620, III—750 and IV—1175; length of femur I 580, II—215, III—240 and IV—430; length of tibia I 580, II—200, III—275 and IV—475; length of tarsus I 180, II—105, III—130 and IV—143.

From Sukhumi, Georgia, 17.IX.40; on *Oxalis* sp.; by E. S. Milianowski.

Academy of Sciences of the Georgian SSR
Institute of Zoology
Tbilisi



ფილოლოგია

ს. ყაუხჩიშვილი

მასალები იოანე პეტრიწის „განმარტების“ წყაროთა
შენსავლისათვის

I

დიონისე თრაკიელის „ტექნე გრამატიკე“⁽¹⁾

1. გრამატიკის ცნება. იოანე პეტრიწს თავისი „განმარტების“ [1] ბოლო სიტყვაობაში, ბასილ დიდზე მსჯელობის დროს, მოჰყავს გრიგოლ ნაზიანზელის აზრი ბასილის გრამატიკული განსწავლულობისა და მისი დამსახურების შესახებ მეტყველების განვითარების საქმეში და დასძენს: «რამეთუ ღრამატიკოსობაა არს გამომცდელი მოქმედთა ანუ აღმწერელთა, ვითარცა მრავალთა რათმე ზედა გამომთქუმელობისა, და გამოაჩინებს მოქმედებითა სახეთა, თუ ვითარ ჯერ არს გამოთქუმა, და ენათმეცყუელებათა და მათიანთა მთქმელობასა გარდასცემს და მზა-მეტყველებათა, ესე იგი არს სახელისაგან თარგმანებათა მოიპოებს, და შესატყუსობათა გარდმოსცემს, და უმჯობესი არს ნაქმართა განმრჩეველობა» (გვ. 223, 28—34).

გრამატიკის ცნების ეს განსაზღვრა მთლიანად ემყარება დიონისე თრაკიელის Τέχνη γραμματικῆς [2] პირველ პარაგრაფს (Περὶ γραμματικῆς)-დიონისეს განსაზღვრით:

„გრამატიკა არის ცოდნა იმ გამონათქვამთა, რომლებიც, ჩვეულებრივ, გვხვდება პოეტებთან და პროზაიკოსებთან. იგი შედგება ექვსი ნაწილისაგან. პირველი: კითხვა, შეფარდებული პროსოდის წესებთან; მეორე: განმარტება იქ არსებული პოეტური სახეების (ტროპების) მიხედვით; მესამე: მოხდენილი გადაცემა ენათა და ისტორიათა; მეოთხე: ეტიმოლოგიის ძიება; მეხუთე: ანალოგიის შეფასება; მეექვსე: გარჩევა ნაწარმოებთა; ეს ნაწილი გრამატიკის ყველა ნაწილთა შორის საუკეთესოა“.

რომ შევადაროთ დიონისე თრაკიელის ეს განსაზღვრა გრამატიკის ცნებისა და გრამატიკის ნაწილებისა იოანე პეტრიწის მიერ მოცემულ განსაზღვრას, დავინახავთ, რომ გრამატიკის ცნების განსაზღვრაში პეტრიწი მთლიანად იმეორებს დიონისე თრაკიელს, ხოლო გრამატიკის ნაწილთა ჩამოთ-

⁽¹⁾ წაკითხულია მოხსენებად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სამეცნ. სესიის სტდომარე 1941 წლის 11 მაისს.



ფილოლოგია

ს. ჯაშხიანი

მასალები იოანე პეტრიწის „განმარტების“ წყაროთა
შესწავლისათვის

I

დიონისე თრაკიელის „ტექნე გრამატიკე“⁽¹⁾

1. გრამატიკის ცნება. იოანე პეტრიწს თავისი „განმარტების“ [1] ბოლოსიტყვაობაში, ბასილ დიდზე მსჯელობის დროს, მოჰყავს გრიგოლ ნაზიანზელის აზრი ბასილის გრამატიკული განსწავლულობისა და მისი დამსახურების შესახებ მეტყველების განვითარების საქმეში და დასძენს: «რამეთუ ღრამატიკოსობაა არს გამომცდელი მოქმედთა ანუ აღმწერელთა, ვითარცა მრავალთა რათმე ზედა გამოთქუმელობისა, და გამოაჩინებს მოქმედებითა სახეთა, თუ ვითარ ჯერ არს გამოთქუმა, და ენათმეცუელებათა და მათიანთა მოქმედობასა გარდასცემს და მზა-მეტყველებათა, ესე იგი არს სახელისაგან თარგმანებათა მოიპოებს, და შესატყვისობათა გარდმოსცემს, და უმჯობესი არს ნაქმართა განმარტებლობა» (გვ. 223, 28—34).

გრამატიკის ცნების ეს განსაზღვრა მთლიანად ემყარება დიონისე თრაკიელის Τέχνη γραμματικῆς [2] პირველ პარაგრაფს (Περὶ γραμματικῆς). დიონისეს განსაზღვრით:

„გრამატიკა არის ცოდნა იმ გამონათქვამთა, რომლებიც, ჩვეულებრივ, გვხვდება ჰოეტებთან და პროზაიკოსებთან. იგი შედგება ექვსი ნაწილისაგან. პირველი: კითხვა, შეფარდებული პროსოდის წესებთან; მეორე: განმარტება იქ არსებული პოეტური სახეების (ტროპების) მიხედვით; მესამე: მოხდენილი გადაცემა ენათა და ისტორიათა; მეოთხე: ეტიმოლოგიის ძიება; მეხუთე: ანალოგიის შეფასება; მეექვსე: გარჩევა ნაწარმოებთა; ეს ნაწილი გრამატიკის ყველა ნაწილთა შორის საუკეთესოა“.

რომ შევადაროთ დიონისე თრაკიელის ეს განსაზღვრა გრამატიკის ცნებისა და გრამატიკის ნაწილებისა იოანე პეტრიწის მიერ მოცემულ განსაზღვრას, დავინახავთ, რომ გრამატიკის ცნების განსაზღვრაში პეტრიწი მთლიანად იმეორებს დიონისე თრაკიელს, ხოლო გრამატიკის ნაწილთა ჩამოთ-

(1) წაკითხულია მოხსენებად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სამეცნ. სესიის სხდომაზე 1941 წლის 11 მაისს.

ვლაში და მათ განსაზღვრაში იგი კვალდაკვალ მიჰყვება დიონისეს, რიგრიგობით განსაზღვრავს გრამატიკის ყველა ნაწილს, გარდა ერთისა, ზოგან შემოკლებით, ზოგან განვრცობით. ასე, პეტრიწით:

მეორე ნაწილი გრამატიკისა ეხება «მოქმედებით სახეებს» (ποιηταις τρῶσι),

მესამე ნაწილი—«ენათმეტყუელებასა და მატინთა მთქმელობასა» (γλῶσσαι καὶ ἱστορίαι),

მეოთხე ნაწილი—«მზამეტყუელებათა» (ἐτυμολογία),

მეხუთე ნაწილი—«შესატყუესობათა» (ἀναλογία),

მეექვსე ნაწილი—«ნაქმართა განმრჩეველობასა» (κρίσις ποιημάτων).

ამ ნაწილთა განსაზღვრაში პეტრიწს დამატებული აქვს:

1) პოეტური ტროპების შესახებ: «ვამოაჩინებს მოქმედებითა სახეთა, თუ ვითარ ჯერ არს გამოთქმეა» (დამატებული ნაწილი ხაზგასმულია);

2) ეტიმოლოგიის განსაზღვრაში: «მზამეტყუელებათა, ესე იგი არს სახელისაგან თარგმანებათა მოიპოვებს».

დიონისე თრაკიელი

იოანე პეტრიწი

§ 1. Περὶ γραμματικῆς

Γραμματικὴ ἐστὶν ἐμπειρία τῶν παρὰ ποιηταῖς τε καὶ συγγραφεύσιν ὧς ἐπὶ τὸ πᾶν λεγομένων.

Μέρη δὲ αὐτῆς ἐστὶν ἕξ. πρῶτον ἀνάγκωσις ἐντριβῆς κατὰ προσοπίαν,

δευτέρον ἐξήγησις κατὰ τοὺς ἐναπάρχοντας ποιητικῶς τρῶσους, τρίτον γλῶσσαι τε καὶ ἱστορίων πρόχειρος ἀπόδοσις,

τέταρτον ἐτυμολογίας εὑρεσις, πέμπτον ἀναλογίας ἐκλογισμός,

ἕκτον κρίσις ποιημάτων, ἢ δὴ κάλλιστόν ἐστι πάντων τῶν ἐν τῇ τέχνῃ (ed. Uhlig, p. 5—6).

იოანე პეტრიწის ტექსტში არა ჩანს განსაზღვრა გრამატიკის პირველი ნაწილისა—ἀνάγκωσις («კითხვა»). ძნელი საფიქრებელია, რომ პეტრიწს გამოეტოვებინა ამ ნაწილის განსაზღვრა («კითხვა, შეფარდებული პროსოდის წესებთან»); ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ გადამწერის შეცდომა უნდა იყოს. რომ პეტრიწი იცნობს გრამატიკის ამ ნაწილს და სთვლის მას გრამატიკის აუცილებელ მუხლად, ჩანს იქიდან, რომ ის, სხვა ადგილას, თავისი «განმარტების» წინასიტყვიანობაში (გვ. 6, 7—20) დაწვრილებით და სავანგებოდ ჩერდება «კითხვაზე».

ღრამატიკოსობაა არს გამოცდელი მოქმედთა ანუ აღმწერელთა, ვითარცა მრავალთა რათმე ზედა გამომოქმედობისა,

და ვამოაჩინებს მოქმედებითა სახეთა, თუ ვითარ ჯერ არს გამოთქმეა, და ენათმეტყუელებათა და მატინთა მთქმელობასა გარდასცემს, და

მზამეტყუელებათა, ესე იგი არს სახელისაგან თარგმანებათა მოიპოვებს, და შესატყუესობათა გარდმოსცემს; და

უმჯობესი არს ნაქმართა განმრჩეველობა.

2. პროსოდის შესახებ. დიონისე თრაკიელის *Τέχνη γραμματικῆ*-სთან ერთად ხელნაწერებში ადრიდანვე მოხვდა ზოგიერთი ისეთი თავი, რომელთა შესახებ დღეს სპეციალურ ლიტერატურაში განმტკიცებულია აზრი, რომ ისინი ეკუთვნიან არა დიონისე თრაკიელს, არამედ სხვას, მის კომენტატორს, ვინმე თეოდოსის [3]. ასეთი თავია სამი—პროსოდის შესახებ. სალექსო მუხლების შესახებ და ზმნის დროთა შესახებ. ამ საკითხებზე დიონისეს ძირითად ტექსტშიაც არის ლაპარაკი, ხოლო აქ, დამატებით თავებში, უფრო დაწვრილებითი განმარტებებია მოცემული.

პროსოდის თავის პირველი პარაგრაფი მთლიანად არის მოცემული იოანე პეტრიწის ხელნაწერში.

Προσῳδία: εἷς: δέξα.

პროსოდიანი ათნი:

δῆξια, βάρεια, περιπαμένη, μακρά,
βραχέα, θασεία, ψιλή, ἀπαστροφος, ἄψεν,
ἁποδιαισολή (ed. Uhlig, p. 105—106,
Алони 38).

ოქსია, ვარია, პერისპომენი, მაკრა,
ვარაქია, დანია, (=დასია), ფსილი,
აპოსტროფოს, ჯფენ. ჯპოდისტოლი
(გვ. 221, შენ.*).

ეს ადგილი პეტრიწის ტექსტში შიგნით კი ირ მოიპოვება, არამედ არ-
შიახვ ტექსტის იმ ადგილის გასწვრივ, სადაც პეტრიწს უფრო დაწვრილებითი
ხასიათის მსჯელობა აქვს, უკეთ რომ ვთქვათ, განმარტებითი ხასიათის მსჯე-
ლობა პროსოდის შესახებ. ეს მინაწერი არშიახვ ყველა ხელნაწერშია. ჩვენ
ვეფიქრობთ, რომ ის თვით პეტრიწს ეკუთვნის. ეს არის ძირითადი დებუ-
ლება, რომელიც პეტრიწმა მოიყვანა დიონისე თრაკიელის გრამატიკიდან;
მხოლოდ ამის შემდეგ გაშალა მან ის მსჯელობა პროსოდიასზე, რომელსაც ქვე-
მოთ ვეხებით.

3. სტიგმე და იპოსტიგმე. დიონისეს თავის „გრამატიკაში“ ცალკე პა-
რაგრაფად აქვს გამოყოფილი საკითხი წერტილისა და მძიმის (სტიგმისა და
იპოსტიგმის) შესახებ.

დიონისე

პეტრიწი

...Τῆν δισφῆρει: συγμῆ; ἁποσυγμῆς;
Χρόνῳ: ἐν μὲν γὰρ τῇ συγμῆ; πῶς τὸ
δισφῆμα, ἐν δὲ τῇ ἁποσυγμῆ; πανεξῶς
ἐλπίον¹ (ed. Uhlig, p. 8).

(ჯპოდისტოლი, რომელ არს ქუეშე
გამომყოფი.) ანუ თუ წენტილი, ვით
ესე ხოლო ქუეშეწენტილი, აჰა რო-
მელი უმცირესრე მიიღებს ჟამსა ქუე-
შეწენტილი წენტილისასა (გვ. 221,
(11—13)).

ქართული ტექსტი დროთა ვითარებაში შერყვნილა. მაგრამ იმ სახითაც
კი, როგორითაც ის მოღწეულია, კვლადკვლ მისდევს დიონისე თრა-
კიელის განსაზღვრას. ქართულ ტექსტში დაცულია დიონისეს ცალკეული
გამოთქმებიც: *γρῆν* «ჟამსა», *πανεξῶς ἐλπίον* «უციერესრე».

¹ თარგმანი: „რით განსხვავდება წერტილი ქვეწერტილისაგან (ე. ი. მძიმისაგან)? ჟამით:
წერტილით (აღნიშვნება) უფრო მეტი შუალედი (ე. ი. შესვენება), ხოლო მძიმით—სრულიად
მცირე შუალედი“.

იოანე პეტრიწის „განმარტებაში“ არსებული გრამატიკული მსჯელობა როდი განისაზღვრება მარტოოდენ დიონისე თრაკიელის „გრამატიკიდან“ მოყვანილი ადგილებით. ეს ადგილები პეტრიწს სპირდება თავისი ფილოსოფიური კონცეფციის გასაშლელად, თავისი აზრების განსამტკიცებლად შესახებ „გონიერი არსებისა“, „გონებისა“, „სიტყვიერისა“ და სხვათა. ამით აიხსნება ის, რომ პეტრიწი შლის საკუთარ გრამატიკულ მსჯელობას; ჩვენ ვხვდებით ერთი მხრით ისეთი ადგილები, სადაც პეტრიწი დიონისე თრაკიელის უკვე მოყვანილი განსაზღვრის შესახებ იძლევა განმარტებას, ხოლო მეორე მხრით გვაქვს ისეთი ადგილები, სადაც მსჯელობაა (თუმცა მოუყვანელ, მაგრამ) დიონისეს გრამატიკაში არსებულ დებულებათა საფუძველზე. ასეთი მსჯელობის დროს იოანე პეტრიწი სარგებლობს ძველი და გვიანი ავტორების და კომენტატორების თხზულებებით.

4. კითხვის შესახებ (ἀντίρρηση). „განმარტების“ წინასიტყვაობაში პეტრიწი სწერს: „გარნა დაესძინოთ მცირედ და კითხვისანთჳსცა, თუ ვითარ ჯერ არს ამათ სასწავლოდას წიგნთა კითხვა, ვითარცა თუთ სოკრატისთჳს იტყჳნ, ვითარმედ იკითხვიდისო სოკრატ. ვითარ იკითხვიდიან ყრმანი მცირენი, და კუალად შეექცის მასვე წარკითხულსა, რამეთუ არა თუ გუარსა ჯერ არს საკითხავისასა მიცემა, არამედ ცნობისა და აღუწყებისათჳს არს სათანადოდ, და გაკუეთისა და შედგმისა და უტუნქცევისა და უტუნაფთ პირთა აღებისა და წერტილთა და სხუთა ყოველთა მძღუართა, ვითარ მახლსა ოქსიასა, და ვარიასა, რომელ არს მძიმე, და პერიპომენსა, რომელ არს გარემორთხმული, და სხუთსა ყოველსავე სათანადოდ არს, რათა ვიჭმარედეთ ჳმასავე თანა და პირსა სიტყჳსასა, რათა გონებად უცთომელი აღვიწყუოთ. და ესეცა შევისწაოთ, რომელ მაღლად კითხვაჲ მოშლის გავონებასა, რამეთუ ძვერაჲ ჳმისაჲ რეც თუ თანა წარიტაცებს გამგონესა, რომელ არს სული“ (გვ. 6, 7—20).

ცხადია, აქ გვაქვს გაშლილი მსჯელობა დიონისე თრაკიელის პირველი დებულების საფუძველზე, სადაც სწერია: „კითხვა, შეფარდებული პროლოგის წესებთან“.

5. ეტიმოლოგიის შესახებ. დიონისე თრაკიელის განსაზღვრით გრამატიკის მეოთხე ნაწილს შეადგენს „ეტიმოლოგიის ძიება“ (ἐτυμολογία ἐπιζητήσις). პეტრიწი ასე შლის ამ დებულებას: „მზამეტყველებათა, ესე იგი არს სახელისაგან თარგმანებათა მოიპოებას“. ტერმინ „მზამეტყველების“ შესახებ ჩვენ უკვე ვამოთქმული გვაქვს ჩვენი აზრი [4], სახელდობრ, რომ პეტრიწმა (ან მისმა წყარომ) ერთმანეთში აურია ორი სიტყვა: ἐπιζητήσις („ძიების წარმოშობა“, „ნამდვილი მნიშვნელობა“) და ἐτυμολογία („მზა“). რაც შეეხება „ეტიმოლოგიის“ შინაარსის გაგებას, აქ პეტრიწი იძლევა ჯერ კიდევ პლატონის „კრატილეში“ წამოყენებულ დებულებას, რომ სახელის შინაარსმა უნდა განგვიმარტოს ცნების არსი. ასე გვესმის ჩვენ პეტრიწის განმარტება: „მზამეტყველებათა; ესე იგი არს სახელისაგან თარგმანებათა მოიპოებას“.

ასეთი გაგების საფუძველზე იძლევა პეტრიწი თავის ეტიმოლოგიურ განმარტებებს, რომლებიც მოგვაგონებენ ბერძნულ სამყაროში გავრცელებულ გან-

მარტებებს. ასე, პეტრიწის ეტიმოლოგიები ზევისა (გვ. 70, 30—31) და კრონოსის (გვ. 70, 28—29; 165, 30—31; 127, 12) შესახებ მოგვაგონებენ პლატონის „კრატილში“ მოცემულ განმარტებებს (Plato ვვ6, A, B).

იოანე პეტრიწი იყენებს დიონისე თრაკიელისაგან შეთვისებულ მეთოდებს თვით ქართული სიტყვების ეტიმოლოგიური კვლევისათვის. შეად. მისი მსჯელობა ცალკეული სიტყვების («გონიერი» და «ცისკარი») შესახებ [4].

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ იოანე პეტრიწი კარგად იცნობს დიონისე თრაკიელის *Τέχνη γραμματική*-ს და მის დებულებათა საფუძველზე თავისი „განმარტების“ სხვადასხვა ადგილას გაშლილად მსჯელობს გრამატიკის ცალკეულ საკითხებზე¹.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ისტორიის ინსტიტუტი
თბილისი

(შემოვიდა რედაქციაში 8.10.1941)

ФИЛОЛОГИЯ

С. Г. КАУХЧИШВИЛИ

МАТЕРИАЛЫ ПО ИЗУЧЕНИЮ ИСТОЧНИКОВ «ТОЛКОВАНИЯ»
ИОАННА ПЕТРИЦИ

I

«Грамматика» Дионисия Фракийского

Резюме

Иоанн Петрици в своем «Толковании» к сочинению Прокла Диадоха «Элементы теологии» [1] уделяет достаточно внимания в частности и вопросам грамматики. При обсуждении грамматических вопросов источником Иоанна Петрици является *Τέχνη γραμματική* Дионисия Фракийского, причем, как выяснилось:

1) Иоанн Петрици приводит отдельные параграфы из «Грамматики» Дионисия в полном дословном переводе; таковы, например, параграфы «О

¹ ეხლა გასაგები ხდება, თუ რატომ უწოდებს ანტონი თავის „წყობილსიტყვაობაში“ იოანე პეტრიწს გრამატიკოსსაც [5]:

მეტაფრას თქმანი, სათთჳლთან დიდო,
აპირტიკე, აშაირ-ალამაზენ,
ატტიკელობა ქართულებერ დალექსულ- ჰყტონ,
რიტორებისა ავქსონ უმაგალითოვ,
ღ რ ა მ მ ა ტ ი კ ო ს ე ბ წიგნთ-მმთარგმნე მაღალ ჭრასად.

грамматике», «О просодиях», «О точке и запятой» (по изд. Uhlig'a [2] стр. 5—6, 105—106 и 8);

2) на основе учения Дионисия Иоанн Петрици строит собственные грамматические суждения по отдельным вопросам грамматики: «О чтении» (Петрици II, 6, 7—20), «Об этимологиях» (Петрици II, 70 и др.).

Академия Наук Грузинской ССР
 Институт Истории
 Тбилиси

ციტირებული ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II: განმარტებაჲ პროკლესთვის დიადონოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათჳს. ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუსტუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა. ტფილისი 1937.
2. Dionysii Thracis ars grammatica... edidit G. Uhlig=Lipsiae 1883, p. C+222.
3. Н. А. Д о н и. Дионисий Фракийский и армянские толкователи. Пгр. 1915; стр. СХХVII.
4. იოანე პეტრიწის შრომები, ტ. I: პროკლე დიადონოსისა პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სიმ. ყაუხჩიშვილმა. თბილისი 1938 (განმეორებითი გამოცემა. თბ. 1940), გვ. XLIII, შენიშვნა 1, გვ. XXII—XXIII.
5. ანტონი, წყობილისტყვაობა, § 740; პლ. იოსელიანის გამოცემა, თბილისი 1853, გვ. 255.



აკადემიკოსი ა. შანიძე

23 კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში⁽¹⁾

თუ თვალს გადავავლებთ საქართველოს ტოპონიმის, ადვილად დავრწმუნდებით, რომ მრავლად მოიპოვება ისეთი სახელები, რომლებიც, წარმოების მიხედვით, მრავლობითის ფორმას წარმოადგენენ. ასეთ სახელთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათ საფუძვლად უდევთ ამა თუ იმ საგნის სახელი, ვთქვათ მცენარისა, ცხოველისა, ფრინველისა, მინერალებისა, და სხვ., ან კიდევ ადამიანთა გვარები.

მრავლობითი რიცხვის ფორმები სხვადასხვაა: გვაქვს როგორც ნარიანი (-ნი) და თანიანი (-თა), ისე ებ-იანი.

პირველ ყოვლისა ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ცოტაა შემონახული ისეთი გეოგრაფიული სახელები, რომლებიც ნაწარმოები იყოს ნარის საშუალებით საზოგადო სახელთაგან, როგორცაა, მაგ., ქუაზნი (XIV საუკუნის მიწურულის დოკუმენტიდან: ქრონ. II, გვ. 195, სტრ 7 ქვ.; 197, II); მუხანი (ib., 197, 2), კუნელანი (ib., 197), თუალნი (=წყაროები? ib., 197) და მისთ. ასეთივე წარმოშობისაა, უეჭველია, რკონი¹ც, რომელიც მიღებულია კრკონ-ისაგან (კრკო, რკო—მუხა, მუხის ნაყოფი). საყურადღებოა, რომ ასეთ სახელებში მრავლობითობის გაგება შეიძლება გაქრეს და სიტყვა ისე იბრუნოს, როგორც მხოლოდობითის ფორმა. ამის მაგალითია „რკონი“ ასეთ გამოთქმაში: „რკონისა ღვთისმშობელო“ (ib., 137, 138, 140).

უფრო ხშირია ნარიანი გეოგრაფიული სახელები გვარებისაგან; განსაკუთრებით ამას ვხედავთ აღმოს. საქართველოში—ქართლსა და კახეთში, მთაში; მაგალითად, მთიულეთში გვაქვს ასეთი სოფლები: სეთურნი, კაიშაურნი, ბევონი, მიდელაურნი, სვიანანი, ზაქანი, დათვიანი, ნადიბანი, კობანი, ბატატიანი, ჭიკანი, ამირნი, ქავთარანი და სხვ. ამათგან იმ სახელებში, რომელთაც ბოლოს მოუღის -ანი, ეს -ანი ლიტერატურულ გამოთქმაში გააზრებულია როგორც -ანნი, რაიც ნათლად ჩანს პარალელური ფორმებისაგან, სადაც დართულია „კარი“: კობანი—კობიანთ კარი, ჭიკანი—ჭიკანთ კარი, ბენიანი—ბენიანთ კარი, ყველანი—ყველანთ კარი და მისთ. [2].

ანი (ანნი) დაბოლოება განსაკუთრებით გავრცელებულია ქართლსა და კახეთში, მაგრამ ისე, რომ ეს დაბოლოება ქართლში გავრცელებულია როგორც ან-ნი, რის გამოც ნათ. ბრუნვაში გვაქვს -ანთ: ვანიანთ უბანი, ფუხანთ უბანი,

⁽¹⁾ მოხსენებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების I სესიაზე 28. II. 1941 წ.

ქუქელანთ უბანი (ატენის სოფლის საბჭოში), გუგუტინთ კარი, ზარდიანთ კარი, ციცავიანთ კარი და მისთ. მაგრამ ზოგან ქართლშიც გამქარა მრავლობითობის გაგება: ითქმის „მღებრიანის სასოფლო საბჭო“, მაშასადამე, „მღებრიანი“ უკვე მხოლოდობითად მიდის, ასეთი მოვლენა უფრო ხშირია კახეთსა და ქიზიყში, სადაც გვაქვს რიგი სოფლებისა აან-ზე დაბოლოებული: მელაანი, გურჯაანი, ტიბაანი, მაჩხაანი, ქიკიანი, ჯუგაანი და სხვ., სადაც უკვე დიდი ხანია დაკარგულა მათი მრავლობითად გაგება, რადგანაც ბრუნვის დროს ისინი წარს ინარჩუნებენ: გურჯაანი, გურჯაანმა, გურჯაანის და სხვ.

როდესაც გვაქვს არა -ანი, არამედ ანი (მაგალითად, მატანი—კახეთში, პანკისის ბოლოს; არტანი—ფშავეში, იორზე: ნათესაობითში: მატნისა, არტნისა), ძნელია იმისი თქმა, რომ აქ ყოველთვის ორი ხმოვნის შერწყმასთან გვაქონდეს საქმე.

ხშირად გეოგრაფიული სახელი ორი სიტყვისაგანაა შემდგარი, რომელთაგანაც პირველი მოცემულია მრავლობითის ფორმით ნათესაობითში და წარმოადგენს მომდევნო სიტყვის მსაზღვრელს. ასეთ შემთხვევაში საზღვრულად გვხვდება: უბანი, სოფელი, კარი, ეკლესია (მონასტერი), ხევი (ვევი) და სხვ., როგორც, მაგ., ურიათ-უბანი (კახეთში, გურჯაანის რაიონში), ვეძათ-ხევი (დღუშ. რ.), მუხათ-გვერდი და მისთ. ასეთ შემთხვევაში შეიძლება საზღვრული ჩამოეცალოს და მივიღოთ ერთი სიტყვა: მოწამეთა (ქუთაისის ახლოს), ველთა (ქრონ. II, 196, 12), ვანთა (ib., 197), ყორანთა (ib., 196, 15), მაჩუთა (ib 196, 9), ტურათა (ib., 197, 5), სხალთა (ib., 196), ჩხიკუთა და სხვ. და აგრეთვე რიგი სოფლებისა, რომლებიც ნაწარმოებია გვარებისაგან ფშავესა და ხევსურეთში: ზულალაურთა, გოგოლაურთა, მიგრილაურთა, უძილაურთა, წითელაურთა, კარწაურთა, ხორნაურთა, ბუჩუკურთა, ძეძეურთა და სხვ.

ზემოაღნიშნული წარმოებების სახელებში დაბოლოებად გვაქვს -თა, მაგრამ მოგვებოვება მართო-იანი დაბოლოებაც, რომელსაც სახელობითში ი ერთვის: ამ თ-ს წინ უძღვის ხმოვნები, რის გამოც მიღებულია ეთ-ი, ათ-ი, ოთ-ი და უთ-ი, ამათგან ეთ-ი გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებლად იქცა საზოგადოდ ქართლში (ტბ-ეთ-ი, ორბ-ეთ-ი, ბი-ეთ-ი, ბროწლ-ეთ-ი, ნიგოზ-ეთ-ი, კლდე-ეთ-ი და მისთ.). ამ ეთ-ის ზანური შესატყვისია ათ-ი, რომელიც გავრცელებულია არა მარტო სამეგრელოში (ზანათი, მახათი, უმაფათი, კახათი, აბედათი, თეკლათი) და ქანეთში (კუკულათი, მელიათი, სურმენათი, ჯაბათი, ჯაჯივათი, ტალვათი, ზაღნათი, პაპათი, კოსტანევათი, დუღუვათი, ნადირათი და სხვ.) [3], არამედ აგრეთვე ქართული ენის გავრცელების არეზედაც; მაგ., გურიაში გვაქვს: ტაბნათი, ჩოჩხათი. (= ცაცხეთი?), ჯუმათი, კონჭათი, მამათი, ჯუნჯუათი, ჩიბათი, იმერეთში კი: გელათი, ცუცხვათი, ფერსათი, ქუთ-ათ-ი („ქუთ-ათ-ის“-ში) და სხვ.

რა თქმა უნდა, -ათ-იანი გეოგრაფიული სახელები ყველა ზანური წარმოშობისად ვერ ჩაითვლება. ქართული ენის მასალათა მიხედვითაც შესაძლებელია ასეთი დაბოლოების დამოუკიდებლად შემუშავება. მართლაც, საეჭოა, რომ რცხილათი, რომელიც ნაწარმოებია ა-ზე გათავებული სახელისაგან (ქარცხილა), ზანური წარმოებისა იყოს, და არა ქართულისა.

თუ ფუძისეულ ე და ა ხმოვნებზე თ-ს დართვა ეთ და -ათ-ს გვაძლევს, სამაგიეროდ ფუძისეულ ო-ზე და უ-ზე იმავე აფიქსის დართვის საშუალებით გვექნება ოთ და უთ: ბობოთ-ი, ბელოთ-ი, გეგუთ-ი, შუხუთ-ი, ლანჩხუთ-ი, უხუთ-ი და სხვ.

საგანგებო კვლევას მოითხოვს საკითხი იმის შესახებ, თუ რა წარმოშობისაა ი ით-ზე დაბოლოებულ გეოგრაფიულ სახელებში, როგორიცაა: როკით-ი, ღვანჯით-ი, ხრეით-ი, მოლ-ით-ი, კვარხ-ით-ი, ბელღ-ით-ი, სომხ-ით-ი. ცხადია, რომ აქ, ზოგან მაინც, ფუძისეული ხმოვანი უნდა ვიგულოთ, ხმოვანხ, რომელიც, ი დეტერმინანტის სახელობითის ფუძეზე შეზრდისა და ბრუნვის დაბოლოებად ქცევის შემდეგ, სახელობითის ნიშნად უნდა ყოფილიყო გაგებული, როგორც ამას ვხედავთ უცხო წარმოშობის სიტყვებში: სურა-ი (არაბ. სურაჰი), გემ-ი (თურქ.) და სხვ.

ისტორიულად ნარ-თანინი გეოგრაფიული სახელები უფრო ძველია, ვიდრე ებ-იანები, რომლებიც ამჟამად ბლომად ვხვდებთ: ბოსლები (დმანისის სოფ. საბჭო, ბაშკირეთის რ.), კოშკები (გორის რ.), ხიზნები (დუშეთის რ.), ბაგები (თბილისთან), ქალები (ახალციხის რ.), ქეები (მარეღისის ახლოს), მსხლები (ლიახვზე), ბალების ხევი (ერწოში), ქორე(ბ)ის-უბანი (ამჟამად ვაზის-უბანი საღვ. საჯავახოს ქვემოთ, ნარიონებთან), ტაძრები (ქრონ. II, 197) და მისთ.

ხშირია ებ-იანი დაბოლოება გვარებისაგან ნაწარმოებ გეოგრაფიულ სახელებში: ზარნაძეები (ჩხარის რ.), ჩიტაურები (დუშ. რ.), დვალიშვილები (ქვემო იმერ.) და სხვ.

როგორც ვხედავთ, საქართველოს ტოპონიმთა ძალზე მდიდარია მრავლობითის ფორმიანი სიტყვებით, მაგრამ ჩამოთვლილი სუფიქსებით არ ამოიწურება მრავლობითობის ნიშნები ასეთ სახელებში. მათ უნდა მივმატოს კიდევ ევ, რომელიც ვხვდებთ ტოპონიმთაში როგორც სურამის ქედის აღმოსავლეთით, ისე მის დასავლეთით. განსაკუთრებით ხშირად კი ყვირილისა და ძირულის ხეობებში, რამდენადმე აგრეთვე რიონის სათავეებში, ე. ი. ქართლში, იმერეთსა და რაჭაში. ასეთი სახელების გავრცელების არე აღმოსავლეთით იგრის ხეობამდე უწყევს (ჯაბლ-ევი).

არაგვსა და ქსანს შორის გვაქვს: ძეგლევი-ი, ალვე-ი და ქვევ-ის ჯვარი⁽¹⁾. თუ აქედან პირს დასავლეთისაკენ ვიბრუნებთ, შეგვხვდება სოფლები: არცევი (გორის ჩრდილოეთით), ორტევი-ი (პატარა ლიახვზე), ღვლევი-ი, ბობნევი-ი და იკვნევი-ი (გორის სამხრეთით და სამხრ.-დასავლეთით). მათ უნდა დავუმატოთ ატრევი-ი, რომელიც ამჟამად მხოლოდ მდინარის სახელია. ფრონეზე (და მის დასავლეთით სურამის ქედამდე) გვაქვს სოფლები: აენევი-ი, ფრინევი-ი, კნოლევი-ი, ავლევი-ი, ფლევი-ი, უწლევი-ი.

სურამის ქედის გადაღმა, ძირულის ხეობაში, მოპოვება სოფლები: ხუნევი-ი, ბეინევი-ი, ვაშლევი-ი, კვესრევი-ი⁽²⁾, ხოლო ყვირილის ხეობაში ცნობილია:

⁽¹⁾ უკანასკნელს ვიწინებ რუკის მიხედვით [7].

⁽²⁾ კვესრევი და ამაშუკეთი გაერთიანდნენ და ამჟამად მათ ახალსოფლის სახელით იცნობენ.

პერევი, ლვიმევი, ვაჭევი, ბელევი, ქოლევი, დურევი, ეხევი, მეჯევი (მერჯევი), ბეინევი, მერევი, ზოსლევი.

რაჭაში გვხვდება სოფლები: ღრუშევი, ძეგლევი, ონჭევი, ჭიბრევი, ბეთლევი, ველევი, ხოტევი.

ქუთაისის ახლოს მდებარეობს ქოლევი, ხოლო ახალციხის რაიონში — წოხტევი.

ამათ გარდა გვხვდება კიდევ: ლევი (მანგლისის მხარეს), თივრევი (საქსიძე, II, 180) [4], დისევი (ქრონ. II, 197).

აღნიშნული სოფლების სახელებს უნდა კიდევ მიემატოს პერევისა და ვაკევისა (ზემო იმერეთში, ყვირილის ხეობაში). პირველი მათგანი ნაწარმოებია პერევისაგან, ხოლო მეორე ვაკევისაგან. საფულისხმოა, რომ არსებობს როგორც პერევი, ისე პერევისა, მაგრამ ცალკე აღარ გვხვდება ვაკევი. სამაგიეროდ გვაქვს ვაკისა (ლიჩის სოფლის საბჭოში).

სოფლის სახელებს გარდა **ევ** დაბოლოება მთების სახელებშიც გვხვდება: ზემო იმერეთში ცნობილია მთები ხუდევი და ველტყევი.

საშუალება რომ გვექონდეს, აღვნიშნოთ არა მარტო სოფლის სახელები, არამედ საზოგადოდ ყველა ადგილის სახელი, რომელთაც ფუძის ბოლოს მოუდის **ევ**. დავრწმუნდებით, რომ ასეთი სახელების რიცხვი ძალზე დიდი იქნება. ეს რიცხვი მაინც სრული არ იქნება, რადგანაც ბევრი სახელის დაბოლოება დღეს უქვევლია **ვა**-ად არის გადაკეთებული. მაგ., ქოლევის (რიონის ს. საბჭო, ქუთაისის ახლოს) ქოლებსაც ეძახიან ამაჟამად. მიუხედავად ამისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მოყვანილი სიაც სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ მნიშვნელოვანი დასკვნები მივიღოთ.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ **ევ** ჯგუფი გეოგრაფიული პუნქტების სახელების დაბოლოებად შემთხვევითი მოვლენა არ არის. რომ ეს ასეა, იქიდან ჩანს, რომ ზოგიერთი მათგანი ორჯერაც გვხვდება: ასეთებია:

1) ძეგლევი: ა) სოფელი არაგვსა და ქსანს შუა, ლენინგორს ახლოს; ბ) სოფელი რაჭაში, ონს ზემოთ.

2) ვაჭევი: ა) სოფელი კიათურის რაიონში, რგანსა და კაცხს შუა; ბ) ადგილი ზესტაფონის რაიონში, შორაპანს ზემოთ.

3) ბეინევი: ა) სოფელი ძირულის ხეობაში; ბ) სოფელი ყვირილის ხეობაში.

რა თქმა უნდა, იშვიათი არაა გეოგრაფიული სახელების გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე მოსახლეობის გადასახლების გამო. როგორც ამას ნათლად ვხედავთ შაჰ-აბასის მიერ კახეთიდან ირანში გადასახლებულ ქართველთა მაგალითზე (ფერეიდანში მოიპოვება სოფლები: ნინო-წმინდა, ჩუყურეთი, მარტყოფი), მაგრამ შეცდომა იქნება, რომ **ევ**-ის გამეორება ქართულ ტოპონიმიკაში ყველგან მიგრაციულ ტალღებს მივაწეროთ. არა, ერთი და იგივე სახელები (ახალდაბა, ახალსოფელი, მსხლები, ტბეთი, ხერთვისი და სხვ.) უმრავლეს შემთხვევაში იქიდან წარმოდგება, რომ სხვადასხვა პუნქტში, რომლებიც ერთნაირ ენობრივ ფარგლებშია მოქცეული, მსგავსი პირობებია სახელების დასარქმევად. მაგალითად, ის გარემოება რომ, საქართველოში მრავალ ადგი-



ლას არის ტბა, მიზეზი გამხდარა იმისა, რომ „ტბეთი“ ხშირად გვხვდება. იგივე ითქმის „ხერთვისზე“, რომელიც წყლების შესართავთან მდებარე ადგილს აღნიშნავს [5]; ახალი მოსახლეობის გაჩენას რომელსავე პუნქტში ხშირად შედეგად მოჰყოლია ისეთი სახელების დარქმევა, როგორცაა: ახალდაბა, ახალსოფელი, ახალშენი, ახალქალაქი, ახალციხე და სხვ.

ხშირად ერთისა და იმავე ფუძისაგან სხვადასხვანაირად გვაქვს ვაკეთებული გეოგრ. სახელები: თელ-ის-საგან გვაქვს: თელ-ოვან-ი, თელ-ეთ-ი, თელიან-ი, თელ-ავ-ი, ვაშლ-ისაგან—ვაშლოვანი (ბორჯ. რ.), ვაშლობი (დუშეთის რ.), ვაშლ(ნარი (გურიისში), მუხ-ისაგან—მუხიანი, მუხნარი (=მუხრანი), მუხროვანი, ბალ-ისაგან—ბალოვანი (ან: ბალვანი, გორის რ.), ბალ-ებ-ის ხევი (ერწოში), ბლ-ებ-ი (ადგილია ს. ნოლაში, საჯავახოში), ნიგოზ-ისაგან: ნიგოზ-ეთ-ი, ნიგეზნარა, ნიგოზა, ნიგო(ზ)-ით-ი და სხვ.

ამიტომ, როცა მეორდება ისეთი სახელები, როგორცაა ძველვეი, ვაქევი და ბეინევი, ჩვენ უფლება გვაქვს, ეს გამეორება მივაწეროთ არა მოსახლეობის დაძვრას და სახელის გადატანას, არამედ უფრო ერთნაირ პირობებს, რომლებიც მოიპოვებოდა სხვადასხვა კუთხეში და რომლებიც საუფუძველი იყო იმისა, რომ ერთნაირი სახელები სხვადასხვა ადგილას გაჩენილიყო. თუ ეს ასეა (და უფუძველია, რომ ასეა), მაშინ კიდევ მეტი საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ევ-ს განსაკუთრებული ფუნქცია უნდა ჰქონოდა ძველად. რომელია ეს ფუნქცია?

ჩვენს ყურადღებას უნებლიედ იქცევს ის გარემოება, რომ ზოგიერთ ევ-იან გეოგრ. სახელს ფუძედ გამოყენებული აქვს ქართულში კარგად ცნობილი საზოგადო სახელი: ვაშლ-ი—ვაშლ-ევი, ძეგლ-ი—ძეგლ-ევი, ბოსელ-ი—ბოსლ-ევი, ბელელ-ი—ბელლ-ევი, ველ-ი—ველ-ევი, ქვა—ქვევი. ეს კი ვვაფიქრებინებს, რომ ევ აქ უნდა იყოს მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი, ისე როგორც ქართ. ებ და ზან. ეფ. მაშასადამე, ვაშლ ე ვ ი, ძე გ ლ ე ვ ი, ბ ო ს ლ ე ვ ი, ბ ე ლ ე ვ ი, ვ ე ლ ე ვ ი, ქ ვ ე ვ ი დღევანდელ სალიტერატურო ენაზე იქნება: ვაშლები, ძეგლები, ბოსლები. ბელლები, ველები, ქვეები.

რაც შეეხება ვაკე-ს, ღვიმე-სა და ველტყე-ს, აქ საქმე უნდა გვქონდეს ორი ე-საგან წარმომდგარი გრძელი ხმოვნის დამოკლებასთან: ვაკე-ევი—ვაკევი—ვაკევი (მ)ღვიმე-ევი—(მ)ღვიმე-ევი, ღვიმევი; ველ-ტყე-ევი—ველ-ტყევი—ველტყევი.

აღნიშნულ სახელებს გარდა, ევ სუფიქსის მრავლობითი რიცხვის წარმოების ფუნქცია ნათლად ჩანს ტბ-ე-სა და იფნ-ე-ში, რაც დღევანდელ ენაზე იქნება: ტბები და იფნები. პირველი შემონახულია ტბეთის ეპისკოპოსთა ტიტულში: მ-ტბ-ე-არ-ი [6], ხოლო მეორე—ქუენიფნეველ-ში, რაც ქსნის ერისთავთა წოდებულობა იყო XV-XVI საუკუნეებში. „ქუენიფნეველი“ ნაწარმოებია ქუენიფნევისაგან, რომელიც კომპოზიტს წარმოადგენს: ქუენ-იფნევი. მეორე ნაწილში აქ იფნ-ი ანუ იფნ-ი გვაქვს, მრავლობითის ფორმით (იფნ-ე-ვი), პირველი ნაწილი კი შეკვეთილი „ქუენა“ არის, „ზენა“-ს საპირისპირო. იგივე „ქუენა“ შემონახულია ქვენა ტკოცაში, რომელიც სოფელია ქართლში. თუმცა ცნობილია ორივე ტკოცა: ქვენა ტკოცა და ზენა ტკოცა, მაგრამ ისტორიულად დადასტუ-

რებულია მხოლოდ ერთი იფნევი—ქუნ-იფნევი, რომლის საპირისპიროდ თავის დროს ზენ-იფნევიც უნდა არსებულიყო⁽¹⁾.

ამრიგად, გეოგრაფიულ ნომენკლატურაში დაცული გვაქვს თერთმეტი სიტყვა, რომელთაც მრავლობითის საწარმოებლად შემოუნახავს ვვ სუფიქსი; ესენია: ვაშლ-ევ-ი, ძეგლ-ევ-ი, ბოსლ-ევ-ი, (მ)ღვიმ-ევ-ი (=ღვიმე-ევ-ი), ველ-ევ-ი, ველ-ტყევი (=ველ-ტყე-ევ-ი), ვაკე-ევ-ი (=ვაკე-ევ-ი), ქე-ევ-ი, იფნ-ევ-ი, ტბ-ევ-ი. ვვ-ის ფუნქცია ამ სიტყვებში უდავოა.

რა თქმა უნდა, მე სრულიადაც არა ვარ იმ აზრისა, თითქო ყველა სახელში, რომელსაც ბოლოში ვვ მოუდის, მრავლობითის ფორმა გვქონდეს⁽²⁾, მაგრამ ის კი უეჭველია, რომ ზემორე ჩამოთვლილ ვვ-იან სახელებში კიდევ უნდა გვქონდეს მრავლობითის ფორმა. მგონი, არ უნდა შევცდეთ, რომ იხვ-ევ-ი იხვ-ევ-ად ანუ იხვ-ებ-ად ვითარგმნოთ, კნოლ-ევ-ი—კნოლ-ებ-ად ანუ გნოლ-ებ-ად. კიბრევი-ი—კიბურ-ევ-ად ანუ წაბლებად (მეგრ. ქუბური=წაბლი), ატრევი-ი—ატრე-ებად ანუ ეტრ-ებად⁽³⁾, მე(რ)ჯ-ევ-ი, ვეძებად (ე. ი. მთავე წყლებად)⁽⁴⁾, ქოლ-ევ-ი კი ქვებად (მდრ. ქ. ქოლ-ვა, მ. ქულ-ფეი). რაც შეეხება დანარჩენებს (ბჟინევი, ღურევი, ვაქევი და სხვ.), დღეს მათი ფუძის მნიშვნელობის გამოსაცნობად მისაღები გვაკლია: არ ვიცით, თუ რას ნიშნავს ბჟინ-ი, ღურ-ი, ვაკე-ი და სხვ.

ვვ სუფიქსის გავრცელების ძირითად არედ შეგვიძლია ჩავთვალოთ ტერიტორია არაგვიდან რიონის შუა წელამდე. ეს ის ტერიტორიაა, რომელიც ძველისძველად სამი ენის გავლენის ფარგალში იყო მოქცეული: ქართლისა, ზანურისა და სვანურისა. ამ კუთხის მოსახლეობის ენას, ვვ სუფიქსის გარდა, უეჭველია, სხვაც ბევრი რამ ჰქონდა თავისებური, რომელიც მის გამომყოფდა როგორც ქართლისაგან, ისე ზანურისა და სვანურისაგან. ისიც უეჭველია, რომ ეს თავისებურებანი რამდენადმე შემონახული იქნება ნაშთების სახით ქართლში, იმერეთში და რაჭაში. ეს გადმონაშთები უნდა ვეძიოთ როგორც ენის აგებულებაში, ისე ლექსიკაში, განსაკუთრებით მაინც უკანასკნელში. ფონეტიკის მხრით აღსანიშნავია, რომ ხშირად გვხვდება შიშინა ბგერები: ბჟინევი, მერჯევი, ვაქევი, ქოლევი, კიბრევი. ამის მიხედვით ვვ „კილო“ ახლოს უნდა მდგარიყო ზანურთან.

რადგანაც ვვ კილოს, —რომელიც ძველად უფრო ენა უნდა ყოფილიყო, ვიდრე კილო, —თავისი კვალი უფრო მეტად ზემოსა და შუა იმერეთში დაუტოვებია, ე. ი. იმ ქვეყანაში, რომელიც ერთ დროს არგვეთის სახელით იყო ცნობილი, ამიტომ ამ კილოზე (თუ ენაზე) მოუბაროთ შეგვიძლია პირობით მარგველები ვუწოდოთ, ხოლო თვით კილოს—მარგული. ამეამად არგვეთის სახელით მხოლოდ ორი სოფელია ცნობილი: ერთია საჩხერის რაიონში, მერჯევის ახ-

⁽¹⁾ იფნისაგან სხვა გეოგრაფიული სახელებიც გვაქვს ნაწარმოები: იფნარა (ქართლში, ბატუმის ს. ს-ში), იფნის გორი (კახეთში), იფნიანის ქედი (ღუშეთის მხარეს).

⁽²⁾ ასეთი უნდა იყოს, მაგალითად, თუშეთის სოფელი გირევი.

⁽³⁾ ეტერი—უმწიფარი პური. ატრევი ძველად ადგილის სახელიც უნდა ყოფილიყო. ამისაგან უნდა იყოს ნაწარმოები ვაკარი მ-ეტრ-ევ-ელი (=მ-ატრე-ევ-ელი). ამ გარემოებას აკად. ს. ჯანაშია აქცევდა ყურადღებას.

⁽⁴⁾ ვე ძე ა ს მერგულად მენჯი ჰქვია, ხეცსურულად—მუჯა.

ლოს (არგვეთი-), ხოლო მეორე—ზესტაფონს ქვემოთ, ექვსიოდე კილომეტრის მანძილზე (არგვეთა), კნინობითის ფორმით¹⁾, ძველად კი არგვეთი სახელად ერქვა არა ცალკეულ სოფელს, არამედ მთელ კუთხეს, რომელიც დასავლეთით რიონის შუა წელამდე უწევდა, შიგ შედიოდა, უთუოდ, ქუთაისის მიდამოებიც, ვინაიდან არგვეთის მთავრები დავით და კონსტანტინე, მათი „ცხოვრების“ მიხედვით, მოწამეთაში არიან დასაფლავებული.

მარგული წარმოშობის 33 სუფიქსმა ქართულში ადრე დაკარგა თავისი პირენდელი მნიშვნელობა, ის გამოყენებულ იქნა ნა პრეფიქსიანი წარმოებისათვის: ნა-ბოსლ-ევი (ქრონ. II, 9), ნა-ქალაქ-ევი, ნა-ბაკ-ევი (სამტრედ. რ.), ნა-ვენახ-ევი, ნა-დარბაზ-ევი (გორის რ.), ნა-ქულბაქ-ევი და მისთ. საყურადღებოა, რომ ამ შემთხვევებში მარგული სუფიქსის გვერდით გვხვდება სვანური არ სუფიქსიც. ორივე სუფიქსი ისე ახლოა ერთმანეთთან მნიშვნელობის მხრივ, რომ ერთი და იმავე ფუძისაგან შეგვიძლია ერთითაც ვაწარმოოთ სახელი და მეორითაც: გვხვდება როგორც ნაგომ-ევი (სალბიერის ს. საბჭოში), ისე ნაგომ-არი (გურიისში), ნა-ქალაქ-ევი და ნა-ქალაქ-არი (სოფელია ერწოში), ითქმის ნა-ქმრ-ევი, ნა-რძლ-ევი, მაგრამ: ნა-ცოლ-არი, ნა-მამამთილ-არი; სომხ-ისაგან ვეაქვს ნა-სომხ-არი (სოფ. მარტყოფს ზემოთ), მაგრამ დვალ-ისაგან—ნადვალ-ევი (ქრონ. II, 9).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
 აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტი
 თბილისი

(შემოვიდა რედაქციაში 11.10.1941).

ЛЪЗКОВЕДЕНИЕ

Академик А. Г. ШАНИДЗЕ

ПЕРЕЖИТКИ ДИАЛЕКТА EV В ГЕОГРАФИЧЕСКИХ ИМЕНАХ ГРУЗИИ

Резюме

Для собирания достоверных сведений по грузинской исторической диалектологии и для составления карты распространения древних грузинских диалектов, подвергшихся уравнительному влиянию литературного языка, немалый интерес приобретают географические имена, в которых засвидетельствованы суффиксы множ. числа n, ta (t), et, eb: Rko-n-i (*Дубы, Желуди*) Šixkuta (*Сойкино*) Tb-et-i (*Озёра*) Mxsl-eb-i (*Грушевые деревья*) и т. п.

Едва ли можно считать случайным тот факт, что многие геогр. имена имеют в исходе ev: Bžin-ev-i, Dur-ev-i, Exv-ev-i, Kol-ev-i Хоџ-ev-i и т. п.

¹⁾ არისტ. ცხადაძის სიტყვით, ს. სიქთაოულაში ამჟამად მარგველებს ეძახიან იმ ხალხს, რომელიც ცხოვრობს შემდეგი საზღვრებით შემოუარულულ ტერიტორიაზე: აღმოსავლეთით ზესტაფონი, დასავლეთით აჯამეთის წყალი, ჩრდილოეთით ქედი წყალდასავალი, სამხრეთით მდ. ყვირილა.

Нет сомнения, что в этих случаях исходная группа *ev* была образовательным суффиксом, которой имел в свое время определенную функцию. Эта функция ясно прослеживается в ряде геогр. имен, где налицо образование множ. числа: *Beyl-ev-i* (*Амбары*, от *beyel-i амбар*), *Bosl-ev-i* (*Хлеба* от *bosel-i хлеб*), *Vašl-ev-i* (*Яблони*, от *vašl-i яблоня, яблоко*), *Vel-ev-i* (*Поля*, от *vel-i поле*), *zegl-ev-i* (*Стелы*, от *zegl-i стела*) и т. п.

Вывод, который напрашивается при анализе таких образований, следующий: существовал диалект, который для образования мн. числа имел вообще суффикс *ev*, авляющийся однотипным с *eb* (груз.) и *er* (чано-мингр.).

Суффикс множ. числа *ev* выявляется груз. географической номенклатурой, главным образом, в бассейнах рек Дзирула и Квирила, отчасти также в верховьях Риони и к востоку от Сурамского хребта. Есть основание полагать, что именно здесь была расселена основная масса представителей языковой группы *ev*. Ввиду того, что центральная часть означенной территории в историческую эпоху называлась Аргвети (*Arguet-i*), а ее жители — маргуелами (*marguelni*), диалект *ev* условно можно назвать маргвельским (*marguli k̄ilo*).

Академия Наук Грузинской ССР

Институт языка имени акад. Н. Я. Марра

Тбилиси

დამოუკიდებელი ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. ქონ. = თ. ქორდანია. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, II, თბილისი, 1897.
2. А. Шанидзе. Нынешние эквиваленты географических названий Арагвского ущелья. Христианский Восток, III, 1913, стр. 212—214.
3. Н. Марр. Из поездки в Турешкий Лазистан. Известия Акад. Наук., 1910, стр. 609—615.
4. საქართველო. სიძე. — საქართველოს სიძველენი, ტ. II, თბილისი, 1909.
5. ა. შანიძე. ნაშთები მესამე პირის თბიექტური პრეფიქსის ხმარების ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში. თბილ. უნივ. მოამბე, II, 263—375.
6. А. Шанидзе. Два чано-мингрельских суффикса в грузинском и армянском языках. ЗВО, XXIII, 1916, стр. 368—9.
7. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რუკა, გამოცემული პროფ. ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. 1930. ფურც. VII.



ბ. როგავა

სიტყვაწარმოების საერთო საფუძვლებისათვის ქართველურსა და აზნაზურ-შბინურ-აღიღურ ენებში

III⁽¹⁾

ფურცელი-ი; ფოთოლი-ი; მეგრ. ფა „ფოთოლი“; შირ-ფა „ორ-ფა“.

თანამედროვე ქართულში **ფურცელი** და **ფოთოლი** განსხვავებული მნიშვნელობით იხმარება: ხის ფოთოლი, მაგრამ: ქალაქის ფურცელი.

ფოთოლი-ცნების გამოსახტავად ძველს ქართულში, როგორც ეს აღნიშნული აქვს აკად. ივ. ჯავახიშვილს, მხოლოდ „ფურცელი“ ყოფილა მიღებული ([1], გვ. 279).

საბა თავის ლექსიკონში ამგვარად ასხვავებს მნიშვნელობის მიხედვით **ფურცელსა** და **ფოთოლს**: „ფურცელი ეწოდების ხეთა და მოლთა მწვანეთა, ხოლო ფოთელი ყვავილთაგანისა ერთსა ფურცელსა“ (ხაზი ჩენია, გ. რ.)

აკად. ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს რა საბას მიერ ფოთლისა და ფურცლის ზემომოყვანილი განმარტება, აღნიშნავს: ზნა ყვავილის „გაფურჩქნა“ უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად ფურცელი ყვავილის ფურცლის აღსანიშნავადაც უნდა ყოფილიყო მიღებული და მნიშვნელობით ფურცელსა და ფოთოლს შორის რაღაც სხვა განსხვავება უნდა ყოფილიყო. ამ ორივე ტერმინის ძირითადი მნიშვნელობის გამორკვევა გავვიადვილდებოდა, მათი ეტიმოლოგია რომ გამორკვეული გვექნოდაო ([1], გვ. 279).

მეგრულმა არ იცის სიტყვა ფოთოლი, აქ იხმარება მხოლოდ ფურცელი.

ქანურში ფოთლის სახელწოდება ბუტკა, რასაც არნ. ჩიქობავა უკავშირებს ქართულ ბუტკოს ([2], გვ. 136).

სვანურში ფოთოლს ეწოდება ბაღე.

ქართული ფურცელი და ფოთოლი ერთი და იმავე სიტყვის ფონეტიკური ვარიანტები უნდა იყოს.

ფოთოლის იმერული სახეობაა ფოთ-ე-ლ-ი. ასეთ ფორმას (ფოთელი) ვხვდებით საბას ლექსიკონშიც. ფოთელის გარდა დასავლურ კილოებში შევხვდებით ფორთოლსაც. მაგალითად, ლეჩხუმურში გვხვდება ფოთელი, ფორთოლი და ზოგჯერ ფორთელიც (ესარგებლობთ მიხ. აღავეძის მასალებით).

(¹ I წერილი იხ. „საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე“, ტ. II, № 5; II წერილი—„ქუთაისის აღ. წულუკიძის სახელ. სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები“ ტ. II, 1941.

ფოთოლის უძველესი სახეობა უნდა ყოფილიყო ლეჩხუმურში შემონახული ვარიანტი ფორთელი, რომლისაგანაც არის მიღებული, ერთი მხრით (ხმოვნის პროგრესული ასიმილაციით—?) ფოთოლი და შემდეგ რ-თანხმოვნის ამოვარდნით—ფოთოლი; ხოლო მეორე მხრით, ფორთელისაგან მხოლოდ რ-ს ამოვარდნით უნდა იყოს მიღებული ფოთელი.

ფოთოლის ლეჩხუმური ვარიანტი ფორთელი მეტად ახლო დგას ფურცელთან.

სიტყვა ფურცელი, ფორთელი შედგენილი ფუძის მქონე უნდა იყოს; უნდა იწლებოდეს ასე: ფურ-ცელ-ი, ფორ-თელ-ი

ფურ || **ფორ** ფუძე ან მისი ფონეტიკური ვარიანტი უნდა გვექონდეს შემდეგ შემთხვევებში:

1. სვანური ფურუცხე. (ლაშხ.) წიწვიანი ხის ფოთოლი (ლენტეხ. ფურჯს) უნდა იწლებოდეს ასე: **ფურ** 'ფოთოლი' და **უცხე** 'უცხო' „განსხვავებული“¹.

2. მეგრულში შემონახულია სიტყვა **ფა**, ეწოდება ფოთოლს, რომელიც შემოდგომაზე სცივება ხეს. მაგალითად, ჯას **ფა** გითუტენს ზეს ფოთოლი სცივია. ბორიკე **ფა** ქივითარლუ ქარმა ფოთოლი ჩამოყარა.

როგორც აქვე დავინახავთ, **ფა** ფუძის სრული სახეობა უნდა ყოფილიყო **ფალ**, ოღონდ ამ შემთხვევაში **ლ**-ს ფუძისეულობის საკონტროლოდ მრავლობითის ფორმას ვერ ავიღებთ, რამდენადაც **ფა** იხმარება მეგრულში კრებითობის შინაარსით. მრავლობითის ფორმაში ეს სიტყვა ამჟამად არ გვხვდება.

ფა სახელისაგან არის მეგრულში ნაწარმოები ზნმა ფალუა აყვავება, სიტყვა-სიტყვით: „გაფოთლა“

3. ქართულსა და მეგრულში შემონახულია **ფა-ფუძე** კომპოზიტში: **ორ-ფა** 'ორკეცი', სიტყვა-სიტყვით: „ორ-ფურცელი“, მეგრ. ქირ-ფა „ორფა“, „ორკეცი“.

ამაირად, **ფა** (**ფალ**-) მეგრულსა და ქართულში ფოთლის აღმნიშვნელი სატყვა ყოფილა.

ფურცელისა და ფორთელის პირველი ფუძე **ფურ** || **ფორ**- ქართულსა და მეგრულში შემონახული **ფა** (**ფალ**) სიტყვის მეგრული ფონეტიკურ-სემანტიკური ვარიანტი უნდა იყოს. **-ალ**, **-ურ** ამ სიტყვებში, ცხადია, სუფიქს-დეტერმინანტად უნდა მივიჩნიოთ.

საფიქრებელია, რომ სვანურ **ბალე**-ში (ფოთოლი) იგივე **ფალ** ძირთან გვექონდეს საქმე (თავიკიდურ ფ თანხმოვანს მჟღერი ენაცვლება).

გასარკვევია ახლა ფურცელი და ფორთელი კომპოზიტის მეორე ფუძე **ცელ**-, **თელ**-. უეჭველად ერთი სახეობა მეორისაგან უნდა იყოს მიღებული, ე. ი. ან **ცელ** არის მიღებული **თელ**-ისაგან **თ**-ს აფრიკატიზაციით, ანდა, პირიქით, **თელ** მიღებულია **ცელ**-ისაგან **ც**-ს დეზაფრიკატიზაციის ნიადაგზე.

ქართველური ენების ისტორიული ფონეტიკის მიხედვით ორივე შემთხვევა შესაძლებელია.

¹ ვგების, აქედანაა გვარი ფურცხვანიძე—ფურცხოვანი (შდრ. ფოთლოვანი).

თუ მეორე შემთხვევას ვივარაუდებთ, ე. ი. ცელ სახეობას ჩავთვლით პირველადად, მაშინ ცელ უნდა ვიგულისხმოთ ცალ-ისაგან მიღებულად, ე. ი. სიტყვაში ფურცელი—ფურ-ცალ-ისაგან, გვექნებოდა, სიტყვა-სიტყვით: ფოთოლი+ცალი, ფოთოლი+ერთი; ხოლო თუ პირველადად ჩავთვლით თელ სახეობას, აქაც ისევ ერთთან უნდა გვექონდეს საქმე: თელ-ი მ-თელ-ი თავიდანვე, ერთის, სრულის მნიშვნელობის გამომხატველი უნდა ყოფილიყო. ამნაირად, ფოთოლ-შიც (—ფორ-თელ-ისაგან) გვექნებოდა ფოთოლი-ერთი. ანალოგიური აგებულებისაა აფხაზურში ფოთლის სახელწოდება: მისთვის აფხაზურში გვაქვს როგორც აბღჯ, ისე აბღჯც. თუმცა ორივე ზოგადად ფოთლის გამოსახატავად იხმარება, მათი მნიშვნელობის დიფერენციაცია მაინც ხერხდება: აბღჯც მაინცადამაინც ერთ ფოთოლს აღნიშნავს და იმავე დროს იგი თანდათან დენის ფოთლის ზოგად ფორმას—აბღჯ-ს. აბღჯც სიტყვაში ც ელემენტს ეკისრება ერთეულის გამოხატვა, როგორც ეს სპეციალურს ლიტერატურაშია აღნიშნული ([3], გვ. 205).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტი
თბილისი

(შემოვიდა რედაქციაში 21.10.1941)

ЯЗЫКОВЕДИЕНИЕ

Г. РОГАВА

К ВОПРОСУ ОБ ОБЩИХ ОСНОВАХ СЛОВОПРОИЗВОДСТВА
В КАРТВЕЛЬСКИХ И АБХАЗСКО-УБЫХСКО-АДЫГЕЙСКИХ
ЯЗЫКАХ

III

Резюме

В грузинском языке налицо: **purcel-i** 'лист бумаги', **potol-i** 'лист дерева'. В западных диалектах грузинского языка засвидетельствованы разновидности **potol-i potel-i**, и даже **portel-i** (в лечхумском).

Вариант **potel-i** приводится и в словаре Саба Орбелиани (XVIII в.).

Полагаем, что **purcel-i** и **potel-i** являются фонетической разновидностью одного и того же слова с производной основной: **pur+cel-i** || **po(r)+tel-i**.

Первая основа **purcel-i**, **portel-i**—**pur** || **por**, по всей вероятности, представляет собой мегрельскую разновидность грузинской основы ***pal**, которая сохранилась в мегрельском. Мегр. **pa** означает лист падающий о сенью. Отсюда отыменный глагол **pal-ua** 'распускать листья'.

Также основа **pal** предлежит в грузинском и мегрельском слове **pa** в композитах, груз. **or-pa**, мегр. **zir-pa** «двойной», буквально: два листа; груз. **sam-pa**, мегр. **sum-pa** «тройной», буквально: три листа

Сванское слово **bale** «лист», должно быть, является фонетическо-семантическим соответствующим ***pal-i** «лист».

Вторая из составных основ **cel** || **tel-pur-cel-i**, **po(r)-tel-i**, думаем, имеет значение «один»: **tel-i** (**m-tel-i**) в грузинском «целый», «весь один», или **cel-cal-i** «один».

Таким образом, **pur-cel-i** || **no(r)-cel-i** буквально значит: «лист один».

Аналогичную этимологию имеет абхазское слово **a-bγθ** «лист», «один лист». В абхазском **a-bγθ** обозначает лист вообще. **C₁** выражает «единичность» ([3], стр. 205)

Академия Наук Грузинской ССР
 Институт языка имени акад. Н. Я. Марра
 Тбилиси

ციტირებული ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, 1930.
2. არჩ. ჩიქობავა. ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი.
3. ქ. ლომთათიძე. ერთეულის კატეგორია და მისი მაწარმოებლები აფხაზურში, ენიმკის მოამბე, X, 1941.

ЛИТЕРАТУРОВЕДЕНИЕ

Ш. И. НУЦУБИДZE

ВОСТОЧНЫЙ РЕНЕССАНС И КРИТИКА ЕВРОПОЦЕНТРИЗМА

Американский ученый К. Фергюсон правильно заявляет ([1], стр. 1), что «проблема ренессанса является одной из спорных проблем в современной историографии» (one of the controversial subjects in recent historiography). Этот, казалось бы, академический вопрос вызывает страстное обсуждение. Он превратился в вопрос о корнях западноевропейской культуры и задает как национально-культурные, так и социально-классовые интересы.

Мишле, Фойгт, Бурхгарт и др., поставившие в науке вопрос о ренессансе, никогда не представляли себе возможности вневропейского ренессанса. Бурхгарт, испытавший влияние первых двух ученых, особенно рельефно поставил вопрос об исключительно европейских источниках западной культуры. Он говорил о «римско-греческой учености, с XIV века так сильно завладевшей итальянской жизнью», и «рассматриваемой как источник культуры». По мнению того же Бурхгарта, этот «источник культуры представлял собой измененный итальянский дух, которому предстояло служить образцом для всей Европы» [2]. Следует обратить внимание на то, что буржуазная наука о ренессансе уже в лице Бурхгарта указывала на «изменения народного духа общеевропейского рыцарства», на некоторую роль католической церкви и, что особенно характерно, на «культуру севера» — как на конкретное содержание и движущую силу ренессанса.

Таким образом, уже с самого начала буржуазная наука Запада поставила вопрос о ренессансе в плоскости вопроса об источниках культуры Запада, причем решала этот вопрос в духе «европоцентризма», т. е. концентрирования источников европейской культуры в самой же Европе. Для сугубого подчеркивания независимости исходных точек культуры новой Европы старому принципу ex oriente lux противопоставлялся принцип северного происхождения источников европейской культуры.

